ქ. ცაგერი 02. 06. 2021 წ.

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №29

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ.ა“ ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის‘‘ 85-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ მიღებულ იქნას ცნობად /დანართი თან ერთვის/.

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ:
   ა) დააწესოს მკაცრი კონტროლი ბიუჯეტის ყოველკვარტლური გეგმის შესრულებაზე.
   ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოფლის მხარდაჭერის პროექტებით გამოყოფილი თანხის დროულად და ხარისხიანად შესრულებას.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ.№69).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **გიორგი გუგავა**

ინფორმაცია

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2121 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის 24 დადგენილებით და განისაზღვრა 7095,4 ათ.ლარით. ამ პერიოდის განმავლობაში განხორციელდა 2 ცვლილება და ბიუჯეტმა შეადგინა 11702,67 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პირველი ცვლილების საფუძველი იყო საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის #2685 განკარგულება. საქართველოს რეგიონში განხორციელებული პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 2 494 477,0 ლარი, რომელიც შემოსულობების ნაწილსი აისახა გრანტებში, ხოლო ხარჯებში

1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები) 1 268 598 ლარი. (ქ.ცაგერის და გვესოს დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია სოფელ ორბელში ზედა ორბელში ,,ჩერის“ და ,,სვანიძეების“ უბანში გზის რეაბილიტაცია, სოფელ ჩხუტელსი ცენტრალური გზიდან სკოლამდე გზის რეაბილიტაცია.
2. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 1 225 552 ლარი (სოფ. ჭალისთავი, წიფერჩის, ბარდნალის, ლარჩვალის და ქვ. ცაგერის ნაწილის წყლის სისტემის მოწყობა.

   ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასევე ცვლილების საფუძველი იყო 20121 წლის პირველი იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის 1 454 692,44 ლარის განაწილება.

   მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 3 766,37 ათ.ლარით და შეადგინა 10861,77 ათ.ლარი.

   ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეორე ცვლილების საფუზველი იყო საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 თებერვლის # 168 განკარგულება, რეგიონში გავსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლბში გამოეყო 620 000 ათასი ლარი, რომელიც შემოსავლების ნაწილი აისახა გრანტებში, ხოლო ხარჯებში

   1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 620 000 ლარი.

   აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წინა წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხის ათვისება ზოგიერთ სოფლებში მოხდა დაგვიანებით, რაც იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას. ეს ფაქტი ყურადსარებია, რათა წლევანდელი წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამაშიც არ განმეორდეს იგივე და დროულად და ეფექტურად მოხდეს თანხის ათვისება.

   ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასევე ცვლილების საფუძველი იყო 2021 წლის 1 იანვრის მუნიციპალიტეტის ძირითად სახაზინო ანგარიშზე არსებული გაუნაწილებელი ნაშთის 182 468,34 ლარის განაწილება, კერძოთ:

   1. 130 000 ლარი რეგიონალური პროექტებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება, კერძოდ, ცაგერის მუნიციპალიტეტსა და შპს ,,ზაისი და კომპანიას“ შორის ინფრასტრუქტურული ობიექტების სამსენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურეობის გაწევაზე გაფორმებული ხელსეკრულების ფინანსური უზრუნველყოფით.
   2. 20 000 ლარი წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის სუფსიდირება.
   3. 13 000 ლარი-სანიაღვრე არხების მშენებლობ , ექსპუატაცია და რეაბილიტაცია.
   4. 19 000 ლარი გზების მოვლა სენახვის დაფინასება.

ასევე ბიუჯეტის ცვლილების საფუძველია ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამების და ქვეპროგრამებს შორის თანხების გადატანა, კერძოდ, შემცირდეს:

-კეთილმოწყობის ღონისძიებები 16,00 ათ.ლარით.

-საკანალიზაციო სისტემის მოწყობა რეაბილიტეციის ღონისძიებები 17,0 ათ.ლარი.

-წყლის სისტემის რეაბილიტეცია და ექსპლუატაცია 10,0 ათ.ლარით.

-მერიის შრომითი ანაზღაურება 13,0 ათ.ლარით.

გაიზარდა:

გზების მოვლა შენახვა-16,0 ათ.ლარით.

მერიის არაფინანსური აქტი აქტივობები 40,0 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 11 და 19 თებერვლის #2-11 და 2-17 ბრძანების შესაბამისად, ბიუჯეტში აისახა საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის #147 განკარგულება, რომელიც ეხება ცაგერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვებისატვის გამოყოფით თანხებს, რომელზედაც გაფორმებულია შესაბამისი ხელსეკრულება (24972 ათ.ლარი)

აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 8409000 ლარით და შეადგინა 11 702, 67 ათ. ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის I კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა შეადგენს 2460.9 ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 1876.8 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 76.3 %-ით. მათ შორის: შემოსავლების გეგმა 2457.9 ათ.ლარი, ფაქტიურად შემოსულია 1849.5 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 75.2 %-ით. გადასახადების გეგმა 1689.4 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 1427.2 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 84.5 %-ით. აქედან ქონების გადასახადის გეგმა იყო 4,0 ათ. ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა -4.8 ათ. ლარი, დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმა იყო 1685.4 ათ. ლარი, ფაქტიური შემოსავალი 1432.0 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 85 %-ით. გრანტების სახით მიღებული შემოსავლების გეგმა 732.3 ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 312.6 ათ ლარი, ანუ გეგმის 42.7 %, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორცილებლად, გეგმა იყო 108.8 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 108.5 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 99.7 %–ით.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 36.2 ათ. ლარით, ფაქტიურად შემოსულია 109.7 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა303%–ით, მათ შორის: შემოსავლები საკუთრებიდან დაგეგმილი იყო 12.3 ათ. ლარი ფაქტიური შესრულება არის15.3 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 124.4%-ით, აქედან მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გადასახადიდან გეგმით უნდა შემოსულიყო 4.3 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 11.4 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 265.1 %–ით. საქონელის და მომსახურების რეალიზაციის გეგმა იყო 4.9 ათ. ლარი, ფაქტიური შესრულება არის 7.9 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 161,2%-ით, მ/შ ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა იყო 0.9 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 2.1 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 120%-ით, შემოსავალი მომსახურების გაწევიდან გეგმა 4,0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 5.8 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 142.5%–ით, ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით მიღებული შემოსავალი გეგმით შეადგენდა 9,0 ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 4.9 ათ. ლარი ანუ გეგმის 54.4 %, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა იყო 10,0 ათ, ლარი, ფაქტიური შესრულება არის 81.6 ათ, ლარი ანუ გეგმა შესრულდა 810%-ით. თუ შევადარებს გასული წლის ანალოგიურ პერიოდს, ფაქტიურად ყველა სახეობაში თითქმის იგივე მაჩვენებლები გვაქვს, გამონაკლისია არაკლასიფიცირებული შემოსავლები, სადაც ირიცხება მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დარიცხული ჯარიმები, რომლის წინასწარ დაგეგმვა შეუძლებელია.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული ფაქტიური შემოსავალის გეგმა შესრულდა 230 %-ით. (გეგმა 3,0 ათ. ლარი, ფაქტი 27,4 ათ. ლარი) გაწეული ხარჯებიდან მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებიდან წარმომადგენლობით ორგანოებს უნდა მოხმარებოდა 648.3 ათ. ლარი, დაიხარჯა 542.6 ათ. ლარი, ათვისებული იქნა 83.7 %. წარმომადგენლობით ორგანოებს უნდა მომხმარებოდა 185.5 ათ. ლარი, ფაქტიურად დახარჯულია 159.2 ათ. ლარი, ათვისება არის 83.7%, აღმასრულებელი ორგანოების შენახვას უნდა მოხმარებოდა 410.0 ათ ლარი, დაიხარჯა 368.7 ათ ლარი, ანუ ათვისებულ იქნა 89.9%-ით. აღნიშნულ პრიორიტეტში გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულიაCOVID-19-ის პანდემიის გამო, რომლის დროსაც სამსახურები გადაყვანილი იყო მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე.

თავდაცვის ხარჯებიდან სამხედრო აღიცხვისა და გაწვევის სამსახურს მოხმარდა გეგმის 89.6%, (გეგმა -16,4თ. ლარი, ფაქტი - 14,7 ათ. ლარი).

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია უნდა დაფინანსებულიყო 2014.5ათ.ლარით, სადაც 159.7 ათ. ლარით დაგეგმილია საქონელი და
მომსახურება, 177 ათ. ლარით სუბსიდია, ხოლო 1677.8ათ.ლარი არაფინანსურ აქტივები.
პრიორიტეტი დაფინანსდა 596.2 ათ.ლარით, აქედან საქონელი და მომსახურება დაფინანსდა 127.9 ათ.ლარით, სუბსიდია 156 ათ.ლარით, არაფინანსური აქტივები 312.4 ათ. ლარით. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს დაბალი შესრულების მაჩვენებელი გვაქვს არაფინანსური აქტივების ათვისებაში, რაც ძირითადად გამოწვეულია მიმწოდებლების მიერ შესაბამისი შეთანხმების აქტებით, გეგმა-გრაფიკების ცვლილებით (ზამთრის პერიოდის გამო).

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია პრობლემას ხედავს გეგმა გრაფიკის დამტკიცებაში, რასაც მოყვება ხშირი ცვლილება. ამიტომ საფინანსო-საბიუჯეტი კომისია აძლევს რეკომენდაციას მერიას ყურადღება მიაქციოს აღნიშნულ საკითხის მოგვარებას. ფაქტიურ შესრულებაზე გვაქვს შემდეგი სურათი: გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა–შენახვა დაფინანსდა 154.5 ათ.ლარით, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 72.8 ათ. ლარით. კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 0 ათ. ლარით, წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 125.6 ათ. ლარით, ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები დაფინანსდა 5.0 ათ. ლარი, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებებისათვის დაიხარჯა 2.2 ათ.ლარი, კომუნალური მომსახურეობა დაფინანსდა 115.6ათ.ლარით, ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 108.5 ათ. ლარით, მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 72.7 ათ. ლარით. დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდა 12.4 ათ. ლარით. საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები ათვისებულია 86.7%-ით (გეგმა - 291.9 ათ ლარი, ფაქტი - 253 ათ. ლარი). მათ შორის: სკოლამდელი განათლება დაფინანსდა 87.0%–ით (გეგმა–270.7 ათ. ლარი, ფაქტიური – 235.5 ათ. ლარი). მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი დაფინანსდა 82.5 %–ით (გეგმა –21.2 ათ. ლარი, ფაქტიური – 17.5 ათ. ლარი). აღნიშნულ პრიორიტეტში გეგმის შეუსრულებლობა გმოწვეული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების პანდემიის პირობებში სააღმზრდელო პროცესის პერიოდული შეჩერების გამო. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 407.6 ათ ლარით, მათ შორის: ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა დაფინანსდა 93.1%-ით, (გეგმა 66,7 ათ. ლარი, ფაქტი 62.1ათ.ლარი), საფეხბურთო კლუბი „ხვამლი„ დაფინანსდა 92.4%-ით (გეგმა 22.5ათ.ლარი, ფაქტი 20.8ათ.ლარი),ფრენბურთის კლუბი ცაგერი დაფინანსდა 72.2 %-ით (გეგმა 37.8ათ.ლარი,ფაქტი

27.3 ათ.ლარი) კულტურის ცენტრი დაფინანსდა 95.6%-ით, (გეგმა 70.0 ათ. ლარი ფაქტი 66.9 ათ.ლარი)მუზეუმი დაფინანსდა 94.4%-ით (გეგმა 41.3 ათ. ლარი, ფაქტი 39.0 ათ.ლარი) სამუსიკო სკოლა დაფინანსდა 98.4%-ით (გეგმა 19.3თ.ლარი, ფაქტი 18.3ათ.ლარი) სამხატვრო სკოლა დაფინანსდა 98.4%-ით (გეგმა 12.8 ათ. ლარი, ფაქტი 12.6ათ.ლარი), ბიბლიოთეკები დაფინანსდა 98%–ით (გეგმა - 40 ათ ლარი, ფაქტიური - 39.2 ათ. ლარი), კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (წმ. მაქსიმე აღმსარებლის სადღესასწაულო ღონისძიებები და ლადოობა) დაფინანსდა 9,2 ათ. ლარი, რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა დაფინასდა 5.6 ათ.ლარი, ,ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი" დაფინანსდა 92%-ით(გეგმა 16.2თ.ლარი, ფაქტი 14.9ათ.ლარი),ლარით,ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი დაფინანსდა 84.7% (გეგმა 11.8თ.ლარი, ფაქტი 10ათ.ლარი), ა(ა)იპ ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი დაფინანსდა 100%-ით (გეგმა 52.9 ათ.ლარი, ფაქტი 52.9 ათ.ლარით), ა(ა)იპ ტურიზმის განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 99,3%-ით (გეგმა 27.8ათ.ლარი, ფაქტი 27.6 ათ.ლარი).

რაც შეეხება ა(ა) იპების დაფინანსების საკითხს, როგორც ვიცით ყოველ წელს იგეგმება დეფიციტურად, რაც შემდგომში იწვევს ადგილობრივი შემოსავლებიდან გადანაწილებას. აღნიშნული საკითხი პრობლემური და მიოსაწესრიგებელია. სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ხარჯები დაფინანსდა 88.5%-ით (გეგმა 124.8ათ. ლარი ფაქტი 110.5 ათ. ლარი), მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსდა 97.8%-ით (გეგმა 22.3 ათ. ლარი, ფაქტი 21.8 ათ.ლარი) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა დაფინანსდა 107.3%-ით (გეგმა 67.5 ათ. ლარი, ფაქტი 72.4 ათ.ლარი). უფასო სასადილოები დ 32.5 %-ით (გეგმა 32.5ათ.ლარი ფაქტი 16.3 ათ. ლარით).